განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

შეფასების თარიღ(ებ)ი
06/08/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
07/09/2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 203850813 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** |
| განათლების საფეხური | --- |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | --- |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიო კილასონია<br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სალომე ჩარკვიანი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო |

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად, თბილისის ვ. საჯარიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება როგორც აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი ახალი პროგრამა (უმაღლესი განათლების შესახებ კანონი. X თავი - აკრედიტაციის პროცესი. 63- ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, ვეტერინარის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის
მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამისა) განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.
თუმცა, აღნიშნულ პროგრამას (რომელიც აკრედიტებული იყო აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის N 309 გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2019 წლის 31 დეკემბერს.

ახალი პროგრამა 3 მოდულის მქონე, ჯამში 60-კრედიტიან სასწავლო პროგრამას წარმოდგენს. პროგრამა აერთიანებს სხვადასხვა მოდულში (1. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მოდული - 30 კრედიტი; 2. დარგობრივი სპეციალიზაციის მოდული - 20 კრედიტი; 3. პედაგოგიური პრაქტიკის მოდული -10 კრედიტი) გადანაწილებულ ისეთ სასწავლო კურსებს, რომელთა დაძლევის შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს დარგობრივი, პედაგოგიკური და პრაქტიკული ცოდნა-უნარები და ავტონომიურობის გამოცდილება.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ექსპერტთა ორკაციანი ჯგუფის ვიზიტი შედგა 6 აგვისტოს. მუშაობა წარიმართა 10.00 საათიდან - 19.00 საათამდე, კეთილგანწყობილ გარემოში, თანამშრომლობის რეჟიმში. უსდ-ს ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა ნებისმიერ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითთან დაკავშირებით ინფორმაციის ღიად მოწოდების და დიალოგის წარმართვისთვის. დიალოგი წარმატებით შედგა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის დოკუმენტაციის გაცნობის და ვიზიტზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამა დიდწილად შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს.

რეკომენდაციები

- სამომავლოდ დარგობრივი მოდულის სასწავლო კურსების შინაარსობრივ ნაწილში მკაფიოდ ხილვადი უნდა გახდეს ის კომპონენტები, რომლებიც უპასუხებენ პროგრამის მასწავლებლის ეროვნული სტანდარტის მიერ კულტურული მრავალფეროვნების აღიარებისა და დაცვის ღირებულებას. დარგობრივ მოდულში მნიშვნელოვანი დრო ეთმობა ქართული ფოლკლორული მუსიკის შესწავლას, გააზრებას, მისი ანბანის სწავლების მეთოდების შემეცნებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ხილული არ არის, რა დრო და ყურადღება ეთმობა სხვა ერების ფოლკლორული მუსიკის გაცნობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მომავალი მასწავლებელი ფლობდეს პროფესიულ უნარებს და სახელმწიფოებრივ აზროვნებას, რათა მან შეძლოს ტოლერანტული გარემოს შექმნა, ამის წინაპირობა კი იქნება იმ ერების მუსიკალური ტრადიციის ცოდნა-გაზიარება, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების სახით არიან წარმოდგენილნი, ხოლო მათი კულტურა მჭიდრო ისტორიულ კავშირშია ქართულ კულტურასთან. მასწავლებლის ეროვნული სტანდარტის II თავის მუხლი 4. პუნქტი - დ - მასწავლებლისგან ითხოვს კულტურული მრავალფეროვნების დაცვას, პატივისცემასა და გათვალისწინებას. რამაც თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოდს ამავე მუხლის სხვა პუნქტი (ი) მოსწავლეებში თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობების მიცემა. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია სასწავლო მოდულები ითვალისწინებდეს ისეთ საგანს, ან არსებული საგნების სილაბუსებში შეტანილ ისეთ თემებს, რომელთა ამოცანაც იქნება მუსიკის მომავალ პედაგოგს შეეძლოს საქართველოს კულტურაში (მუსიკაში) არსებული მრავალფეროვნების დადებით კონტექსტში ჩვენება და ექნება ეთნიკური უმცირესობების მუსიკალური ტრადიციის გაზიარების უნარები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - დაწყებითი, საბაზისო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში მასწავლებელს წარმოიდგენს იმ ინდივიდად, გიდად რომელმაც მოსწავლეს უნდა გააცნოს ყველა ძირითადი მუსიკალური ჟანრის ენა და არა მხოლოდ კლასიკური მუსიკა და ქართული ფოლკლორი. საჭიროა, პროგრამის დარგობრივი სპეციალიზაციის მოდულის სილაბუსებში გამოიკვეთოს თანამედროვე ეპოქაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი მუსიკალური ჟანრის სწავლა-სწავლების კომპონენტები და აისახოს საათობრივ გადანაწილებაში. მომავალ პედაგოგს უნდა შეეძლოს მოსწავლეებს გააცნოს ბლუზი, ჟაზი, პოპი, ფოლკი, ელექტრონული მუსიკა და სხვა. ანუ მუსიკა, რომელიც მოზარდს ესმის გარესამყაროში და პირად სივრცეში და მასში ორიენტაცია უწევს. მნიშვნელოვნად მივაჩნია, შესაბამისი სალექციო საათები დაეთმოს (აისახოს სილაბუსებში) თანამედროვე მუსიკალური ჟანრების და ფორმების საკითხებს, რათა მომავალი პედაგოგი სიღრმისეულ ცოდნას ფლობდეს სამუსიკო ხელოვნების თანამედოვე ბუნების და მრავალფრეოვნების შესახებ.

  - მუსიკის მასწავლებლის სტანდარტი (მუხლი 70. თავი ბ: კომუნიაცია და ინტერპრეტაცია. ბ.ვ პუქტი) პედაგოგისგან ითხოვს ხელოვნების მრავალდარგობრივი აღქმის უნარის ქონას. კონკრეტულად კი - **თანამედროვე მუსიკალურ-კულტურული ცხოვრების მიმოხილვას,** იგივე დოკუმენტის გ თავში(გ.დ) აღნიშნულია, რომ მასწავლებელს უნდა შეეძლოს ერთი და იგივე ეპოქის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებს შორის პარალელის გავლება. ორივე სტანტარტი პედაგოგისგან ითხოვს ხელონების სხვადასხვა დარგის სპეციფიკის ცოდნას და თანამედროვე ზოგადკულტურული პროცესების ანალიზის უნარს. სასურველი იქნება, სამომავლოდ დარგობრივი სასწავლო კურსები გამდიდრდეს ხელოვნების შესავალი კურსით, რომელიც მუსიკის პედაგოგს გადასცემს ხელოვნების სხვადასხვა დარგების სამეტყველო ენის შესახებ ცოდნას. მათი შედარების და პარალელურად ხედვის უნარს.
  - ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს სხვადასხვა სასწავლო მოსულისა და მატში გაერთიანებული სასწავლო კურსების განსხვავებულ ამოცანებსა და სპეციფიკურობას. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სასურველია, იყოს მცდელობა, რომ სილაბუსებში ერთნაირ სქემითა და დიზაინით იყოს გაწერილი შეფასების სისტემა. კარგი იქნება, პედაგოგებმა შეიმუშაონ შეფასების / ქულათა გადანაწილების თუ უნივერსალური არა, მსგავსი სისტემა და თანაფარდობა მაინც.

ამას გარდა, სტუდენტისთვის ზევრად იოლად აღქმადი თუკი ეს შეფასების სისტემა წარმოდგენილი იქნება ერთნაირი, ან მსგავსი დიზაინის სქემით.

- თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად შენობას სჭირდება უნივერსალური დიზაინის მიხედვით ადაპტირება. როგორც ადმინისტრაციასთან საუბარში გამოიკვეთა, არსებობს ორი ბარიერი ამ საკითხთან მიმართებით, ბიუჯეტის სიმწირე და შენობის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, რომელიც ნებისმიერ ჩარევას ართულებს.
- სასურველია, მეტი საქმიანი კომუნიკაცია იყოს სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებს შორის და ასევე ხელი მიუწვდებოდეთ მარკეტინგული კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, პროექტიც შექმნასა და მართვაზე, ფინანსების მოძიების სტრატეგიებზე, რაც გააუმჯობესებს სკოლებში მათ როლსა და მდგომარეობას.
- სასურველია, პრაქტიკისთვის შერჩეული პარტნიორი სკოლები იყოს უფრო მრავალფეროვანი. ამჟამად არსებული ორი სკოლიდან ერთი არის პრესტიჟული კერძო სკოლა, ხოლო მეორეს პეციალიზირებული მუსიკის მიმართულებით. პროექტებში ჩართულ სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, შეხება ჰქონდეთ სხვა სოციალურ ჯგუფებთან, თუმცა პრაქტიკის ფარგლებში ნაკლებად არის ამის შანსი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

  - თბილისის ვ.სარაჯიშვლის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის საუკეთესო საბაზისო გამოცდილებად უნდა მივიჩნიოთ 2011 წელს აკრედიტირებული „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“. რომელიც 2016 წლიდან დღემდე განიცდის ცვლილებებს და იხვეწება. განსაკუთრებით საინტერესო მიღწევაა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ნორვეგიის მუსიკის აკადემიასთან ერთად ფორმირებული რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელთა ეფექტურობა აღინიშნება კურსდამთავრებულების და ამჟამად უკვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასაქმებული პედაგოგების მიერ.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის საპრეზენტაციო დოკუმენტების გაცნობისა და უნივერსიტეტში ვიზიტის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოა და კარგად არის გააზრებული პროგრამის ხელმძღვანელებისა და პედაგოგების მიერ.<br>○ აღნიშნული მიზნები ლოგიკურად და რეალისტურად ებმის პროგრამის შედეგებს. მიზნებისა და შედეგების ლოგიკური ურთიერთკავშირის საფუძველი პროგრამის სამმოდულიანი სტრუქტურა და მისი შინაარსია. ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სასწავლო სილაბუსების ეფექტურობას უპირველესად პროფესიონალი პედაგოგების ჩართულობა განაპირობებს, რომლებიც გამოირჩევიან როგორც დარგობრივი, ასევე პედაგოგიური გამოცდილებით.<br>○ პროგრამაში ცხადად არის წარმოდგენილი თუ რა ცოდნას და უნარებს მიიღებს სტუდენტი. პროგრამა განაპირობებს იმ კომპეტენციების ხელმისაწვდომობას, რომლებიც მოთხოვნადია არსებულ საგანმანათლებლო პროცესში. რაც განაპირობებს კურსდამთავრებულთა ეფექტიან დასაქმებას. ამაზე მეტყველებს 2011 წელს აკრედიტირებული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და მათი გამოცდილება, რომელიც მათ ინტერვიუების დროს გაგვიზიარეს.<br>○ პროგრამა შეესაბამება უსდ-ს მისიას.<br>○ პროგრამა შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და მუსიკაში დაწყებითი, საბაზისო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- მოდულების აღწერა და სილაბუსები.
- თვითშეფასების დოკუმენტი.
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მისია.
- ინტერვიუები პედაგოგებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა,რომელიცარისგამორჩეულადეფექტურიდარომელიცშეიძლებაგახდესსამი ზნენიშნულიანმაგალითისხვასაგანმანათლებლოპროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი,რომელიცპროგრამაშიგანხორციელდაწინა აკრედიტაციისშემდეგ(ასეთისარსებობისშემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთპროგრამისსტანდარტისაღნიშნულკომპონენტთანშესაბამისობა

☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშიამოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშიამოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;

პროგრამის მოდულები მოიცავს კომპონენტებს, რომელიც თანამედროვე პრაქტიკული და დარგობრივი მეთოდებისა და პრინციპების ანალიზის საშუალებას აძლევს სტუდენტს. პროგრამა ეყრდონა კლასიფიკაციების ჩარჩოს, შესაბამისი დონის შემუშავებელ მახასიათებლებს. ის მოიცავს მუსიკის პედაგოგისთვის მნიშვნელოვან დარგობრივ-პრაქტიკული ცოდნისა და მეთოდების ცოდნას. ნორვეგიის მუსიკის აკადემიასთან თანამშრომლობის პროცესში აღნიშნული პროგრამისთვის მომზადდა რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელიც მომავალ პედაგოგებს ასავლის და პრაქტიკაში აჩვენებს მუსიკის სწავლების უახლეს მეთოდებს. სწავლა და კრიტიკულ გააზრება, რომელიც პრაქტიკული მუშაობის კომპონენტებით მტკიცდება, ახასიათებს თითქმის ყველა სასწავლო კურსს.

პედაგოგიური პრაქტიკის მოდულში წარმოდგენილია სასწავლო კურსები, რომელიც მომავალ პედაგოგს  დამოუკდებელი პროექტების განხორციელების საშალებას აძლევს. ღია გაკვეთილების დროს, გუნდთან ან სამუსიკო სკოლების მოსწავლეებთან მუშაობის დროს, სტუდენტს უწევს კრიტიკული სიტუაციების გადალახვა, მოულოდნელი, არაპროგნოზირებადი გამოწვევების დაძლევა.

პროგრამის სწავლების შედეგების რუკა მკაფიოდ აჩვენებს, თუ რომელი მოდული და საგანი, რომელი შედეგების მიღწევას ისახავს მიზნად. სილაბუსების შინაარსი აღნიშნული შედეგების ადეკვატურია. თუმცა თვითშეფასების დოკუმენტი მწირ ინფორმაციას გვაძლევს შედეგების ანალიზისა და შდეგების გაზომვის მეთოდეის შესახებ. აღნიშნულია რომ შეფასება მიმდინარეობს მუდმივად. ინტერვიუების დროს  გახდა ნათელი, რომ აკადემიური პერსონალი და უსდ-ს ადმინისტრაცია სტუდენტებთან აწარმოებს წერილობით და ვერბალურ გამოკითხვას სასწავლო პროცესების და ხარისხის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის კურიკულუმი;
- სილაბუსები;
- ინტერვიუები ძველი პროგრამის კურსდამთავრებულებთან;

- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან;
- სწავლების შედეგების რუკა;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასირველია, სწავლების შედეგების მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის შესახებ გამოკითხვის მეთოდი იყოს მკაფიოდ აღწერილი. გამოკითხვა კი იყოს დისტანციური და არ ჩანდეს ინტერვიუერის ვინაობა.

**საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთპროგრამისსტანდარტისაღნიშნულკომპონენტთანშესაბამისობა

**☐შესაბამისობაშიამოთხოვნებთან**

☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან

☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან

☐არარისშესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## პროგრამისსტანდარტთანშესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან | ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან | არარისშესაბამისობაშიმოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე დაშვების პირობა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, რომელიც გარდაუვალ წინაპირობად აყენებს პროგრამაზე სწავლის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის საფეხურის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი განათლების დიპლომი; ამავდროულად საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 11 თებერვლის<br>ბრძანებით №69 დამტკიცებული „მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების“ (მუხლი 4.2) შესაბამისად, საგნობრივი კომპეტენცია, დადასტურებული შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით. წინაპირობას ასევე წარმოადგენს შიდა შესარჩევი გამოცდაც. შიდა შესარჩევი გამოცდა გულისხმობს ზოგად საგანმანათლებლო სკოლაში მუსიკის საგნის სწავლებისას გამოყენებული მეთოდების (რიტმის გრძნობის განვითარება, სიმღერის შესწავლა, იმპროვიზაციის ან კომპოზიციის უნარის განვითარებაზე მუშაობა და ა.შ.) თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შემოწმებას, მითითებულ პრობლემატიკაზე მოდელირებული გაკვეთილის ჩატარების გზით.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა სამართლიანია და უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსთან და მოთხოვნებთან ადეკვატურობას. ასევე განაპირობებს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის გამართული კომუნიკაციისთვის საჭირო მზაობას და საბაზისო ცოდნის არსებობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ მუსიკის პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამა;<br>○ უსდ-ს ვებგვერდი; |

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის** |
| **საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთპროგრამისსტანდარტისაღნიშნულკომპონენტთანშესაბამისობა<br><br>☐**შესაბამისობაშიამოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან<br><br>☐არარისშესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამაშედგენილიაუსდ-შიმოქმედისაგანმანათლებლოპროგრამებისდაგეგმვის, შემუშავებისადაგანვითარებისმეთოდოლოგიისგამოყენებით.პროგრამისშინაარსიითვალის წინებსპროგრამაზედაშვებისწინაპირობებსადასწავლისშედეგებს. პროგრამისსტრუქტურათანმიმდევრულიდალოგიკურია.შინაარსიდასტრუქტურაუზრუნვე ლყოფსპროგრამისსწავლისშედეგებისმიღწევას. მისანიჭებელიკვალიფიკაციაშესაბამისობაშიაპროგრამისშინაარსთანდასწავლისშედეგებთან . |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამის სტრუქტურა სამი მოდულისგან შედგება. 1. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მოდული - 30 კრედიტი; 2. დარგობრივი სპეციალიზაციის მოდული - 20 კრედიტი; 3. პედაგოგიური პრაქტიკის მოდული -10 კრედიტი დარგობრივი, პედაგოგიკის და პრაქტიკული ცოდნის მოდულებში წარმოდგენილია თვისობრივად მრავალფეროვანი და შინაარსობრივად დატვირთული საგნები.<br>○ პროგრამის შინაარსი შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს და ის ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას. პროგრამის შინაარსი აერთიანებს როგორც დარგის, სფეროს და დამსაქმებლის მოთხოვებს, ასევე |

საერთაშორისო მეთოდოლოგიას. პროგრამის შინაარსის შექმნაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, როგორც უსდ-ს საერთაშორისო პარტნიორები, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სტუდენტები მომიჯნავე პროგრამებიდან.

- პროგრამის შინაარსი შეესაბამება უსდ-ს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას.
- პროგრამის შინაარსობრივ, თემატურ ნაწილში მკაფიოა რა დრო ეთმობა კლასიკური მუსიკისა და ქართული ფოლკლორული მუსიკის შესწავლას, გააზრებას, მათი ანბანის სწავლების მეთოდების შემეცნებას. რაც უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუმცა ამავე სილაბუსებში არ არის ნათელი ეთმობა თუ არა დრო და ყურადღება იმ ერების მუსიკალიურ ხელოვნებას, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების სახით წარმოდგენილნი არიან ჩვენს საზოგადოებაში. მასწავლებლის ეროვნული სტანდარტის II თავის მუხლი 4. პუნქტი - დ: მასწავლებლისგან ითხოვს კულტურული მრავალფეროვნების დაცვას, პატივისცემასა და გათვალისწინებას. რამაც თავის მხრივ უნდა უზრუნველყოდს ამავე მუხლის სხვა პუნქტი (ი) მოსწავლეევში (და აქ იგულისხმება ყველა მოსწავლე) თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობების მიცემა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მუსიკის მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა;
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- სასწავლო საგნების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკა;

**რეკომენდაციები:**

- სამომავლოდ დარგობრივი მოდულის სასწავლო კურსების შინაარსობრივ ნაწილში მკაფიოდ ხილვადი უნდა გახდეს ის კომპონენტები, რომლებიც უპასუხებენ პროგრამის მასწავლებლის ეროვნული სტანდარტის მიერ კულტურული მრავალფეროვნების აღიარებისა და დაცვის ღირებულებას. დარგობრივ მოდულში მნიშვნელოვანი დრო ეთმობა ქართული ფოლკლორული მუსიკის შესწავლას, გააზრებას, მისი ანბანის სწავლების მეთოდების შემეცნებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ხილული არ არის, რა დრო და ყურადღება ეთმობა სხვა

| |
|---|
| ერების ფოლკლორული მუსიკის გაცნობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მომავალი მასწავლებელი ფლობდეს პროფესიულ უნარებს და სახელმწიფოებრივ აზროვნებას, რათა მან შეძლოს ტოლერანტული გარემოს შექმნა, ამის წინაპირობა კი იქნება იმ ერების მუსიკალური ტრადიციის ცოდნა-გაზიარება, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების სახით არიან წარმოდგენილნი, ხოლო მათი კულტურა მჭიდრო ისტორიულ კავშირშია ქართულ კულტურასთან. მასწავლებლის ეროვნული სტანდარტის II თავის მუხლი 4. პუნქტი - დ - მასწავლებლისგან ითხოვს კულტურული მრავალფეროვნების დაცვას, პატივისცემასა და გათვალისწინებას. რამაც თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოდს ამავე მუხლის სხვა პუნქტი (ი) მოსწავლეებში თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობების მიცემა. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია სასწავლო მოდულები ითვალისწინებდეს ისეთ საგანს, ან არსებული საგნების სილაბუსებში შეტანილ ისეთ თემებს, რომელთა ამოცანაც იქნება მუსიკის მომავალ პედაგოგს შეეძლოს საქართველოს კულტურაში (მუსიკაში) არსებული მრავალფეროვნების დადებით კონტექსტში ჩვენება და ექნება ეთნიკური უმცირესობების მუსიკალური ტრადიციის გაზიარების უნარები. |
| **რჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულოხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიცარისგამორჩეულადეფექტურიდარომელიცშეიძლებაგახდესსამიზნენიშნულიანმაგალითისხვასაგანმანათლებლოპროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი, რომელიცპროგრამაშიგანხორციელდაწინააკრედიტაციისშემდეგ (ასეთისარსებობისშემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთპროგრამისსტანდარტისაღნიშნულკომპონენტთანშესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადისპეციალობისთითოეულისასწავლოკურსისსწავლისშედეგებიშეესაბამება პროგრამისსწავლისშედეგებს, ხოლოყოველისასწავლოკურსისშინაარსიდაკრედიტებისრაოდენობაშეესაბამებაამკურსისსწავლისშედეგებს;
- სილაბუსშიმითითებულისასწავლომასალადაფუძნებულიასწავლისსფეროს/დარგის აქტუალურმიღწევებზედაუზრუნველყოფსპროგრამისსწავლისშედეგებისმიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- მუსიკის მასწავლებლის სასწავლო პროგრამა სამი მოდულისგან შედგება. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მოდული - 30 კრედიტს მოიცავს. ის წარმოადგენს 5-კრედიტიან 6 სასწავლო კურსს. დარგობრივი სპეციალიზაციის მოდული - 20 კრედიტს მოიცავს და მასში გაერთიანებული 6 საგანი - ერთი 5-კრედიტიანი და ხუთი 3-კრედიტიან საგანი განსხვავებული. საათობრივი გადანაწილება განსხვავებულია, რაც აიხსნება სასწავლო კურსების განსხვავებული სპეციფიკით. ზოგიერთი თეორიული საგანი მოიცავს ასევე პრაქტიკუმის კომპონენტს. პრაქტიკის მოდული, რომელიც 10 კრედიტს აძლევს სტუდენტს, ორი მიმართულებით ვითარდება. პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში (5 კრედიტი) და პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (5 კრედიტი).
- აღსანიშნავია, რომ დარგობრივი სპეციალიზაციის მოდული მრავალფეროვან მიდგომებს აერთიანებს. მოდულის ყველაზე ძლიერი მხარეა მუსიკის სწავლების ნორვეგიული და სხვა საერთაშორისო მეთოდოლოგიის გაცნობითი საგნების არსებობა. ასევე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული მოდული სტუდენტში განსხვაებულ პედაგოგიურ გამოცდილებას ავითარებს - გუნდის ხელმძღვანელობა და კლასთან მუსიკის გაკვეთილის ჩატარება განსხვავებული პასუხისმგებლობებისა და ავტონომიურობის მახასიათებლებს ავითარებს.
- დაწყებითი, საბაზისო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში მასწავლებელს წარმოადგენს იმ ინდივიდად, გიდად, რომელმაც მოსწავლეს უნდა გააცნოს ყველა ძირითადი მუსიკალური ჟანრის ენა და არა მხოლოდ კლასიკური მუსიკა და ქართული ფოლკლორი. პროგრამის სასწავლო მოდულების სილაბუსებში ბუნდოვანია დაეთმობა თუ არა სათანადო ყურადღება თანამედროვე ეპოქაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი მუსიკალური პროცესის, ფორმისა და ჟანრის ანალიზს. ეს ბუნდოვანება გამძაფრთა პედაგოგებთან

| |
|---|
| ინტერვიუების დროსაც.<br>○ პროგრამის სასწავლო მოდულებში ბუნდოვანია ითვისებს თუ არა მომავალი პედაგოგი იმ ცოდნას და უნარებს, რომელსაც მას ავალდებულებს მუსიკის მასწავლებლის სტანდარტი (მუხლი 90. თავი ბ: კომუნიაცია და ინტერპრეტაცია. ბ.ვ სტანდარტს - თანამედროვე მუსიკალურ-კულტურული ცხოვრების მიმოხილვა), რადგან სილაბუსებში არ ჩანს ზოგადკულტურული და ზოგადსახელოვნებო მიმოხილვითი საგნები. იგივე დოკუმენტი გ თავის გ.დ - სტანდარტი მასწავლებელს განუსაზღვრავს, რომ მას უნდა შეეძლოს ერთი და იგივე ეპოქის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებს შორის პარალელის გავლება. რაც ისევ გულისხმობს სხვადასხვა დარგების ცოდნას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ მუსიკის მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა;<br>○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;<br>○ სასწავლო საგნების სილაბუსები;<br>○ სწავლის შედეგების რუკა; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ დაწყებითი, საბაზისო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში მასწავლებელს წარმოიდგენს იმ ინდივიდად, გიდად რომელმაც მოსწავლეს უნდა გააცნოს ყველა ძირითადი მუსიკალური ჟანრის ენა და არა მხოლოდ კლასიკური მუსიკა და ქართული ფოლკლორი. სასურველია, პროგრამის დარგობრივი სპეციალიზაციის მოდულის სილაბუსებში გამოიკვეთოს თანამედროვე ეპოქაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი მუსიკალური ჟანრის სწავლა-სწავლების კომპონენტები და აისახოს საათობრივ გადანაწილებაში. მომავალ პედაგოგს უნდა შეეძლოს მოსწავლეებს გააცნოს ბლუზი, ჟაზი, პოპი, ფოლკი, ელექტრონული მუსიკა და სხვა. ანუ მუსიკა, რომელიც მოზარდს ესმის გარესამყაროში და პირად სივრცეში და მასში ორიენტაცია უწევს. მნიშვნელოვნად მივაჩნია, შესაბამისი სალექციო საათები დაეთმოს (აისახოს სილაბუსებში) თანამედროვე მუსიკალური ჟანრების და ფორმების საკითხებს, რათა მომავალი |

| |
|---|
| პედაგოგი სიღრმისეულ ცოდნას ფლობდეს სამუსიკო ხელოვნების თანამედროვე ბუნების და მრავალფრეოვნების შესახებ.<br>○ მუსიკის მასწავლებლის სტანდარტი (მუხლი 70. თავი ბ: კომუნიაცია და ინტერპრეტაცია. ბ.ვ პუქტი) პედაგოგისგან ითხოვს ხელოვნების მრავალდარგობრივი აღქმის უნარის ქონას. კონკრეტულად კი - **თანამედროვე მუსიკალურ-კულტურული ცხოვრების მიმოხილვას,** იგივე დოკუმენტის გ თავში(გ.დ) აღნიშნულია, რომ მასწავლებელს უნდა შეეძლოს ერთი და იგივე ეპოქის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებს შორის პარალელის გავლება. ორივე სტანტარტი პედაგოგისგან ითხოვს ხელონების სხვადასხვა დარგის სპეციფიკის ცოდნას და თანამედროვე ზოგადკულტურული პროცესების ანალიზის უნარს. სასურველი იქნება, სამომავლოდ დარგობრივი სასწავლო კურსები გამდიდრდეს ხელოვნების შესავალი კურსით, რომელიც მუსიკის პედაგოგს გადასცემს ხელოვნების სხვადასხვა დარგების სამეტყველო ენის შესახებ ცოდნას. მათი შედარების და პარალელურად ხედვის უნარს. |
| **საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიცარისგამორჩეულადეფექტურიდარომელიცშეიძლებაგახდესსამიზნენიშნულიანმაგალითისხვასაგანმანათლებლოპროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი, რომელიცპროგრამაშიგანხორციელდაწინააკრედიტაციისშემდეგ (ასეთისარსებობისშემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთპროგრამისსტანდარტისაღნიშნულკომპონენტთანშესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების |

| |
|---|
| განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამა უზრუნველყოფს საინტერესო პრაქტიკული გამოცდილებების გადაცემას. პრაქტიკული უნარები და გამოცდილება, რომელსაც აყალიბებს პროგრამის პედაგოგიური პრაქტიკული მოდულის ორი სასწავლო კურსი შესაბამისობაშია როგორც მასწავლებლის სტანდარტთან, ასევე მუსიკის მასწავლებლის დარგობრივ მახასიათებელთან. პედაგოგიური პრაქტიკის მოდული 10-კრედიტიანია. მოიცავს ორ 5-5 კრედიტიან სასწავლო კურსს : 1. პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში. აღნიშული კურსი გუნდის დირიჟორობისა და მართვის გამოცდილებას სძენს სტუდენტს. 2. პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. აღნიშნული კურსი სასკოლო გაკვეთილის დაგეგმვას და განსაზღვრულ დროში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაცების უნარების ათვისებას ისახავს მიზნად. ორივე რუსისთვის საკონტაქტო საათებად სილაბუსში გაწერილია 40-45 საათი. პედაგოგიური პრაქტიკის მოდულის ღირსებად უნდა აღვიქვათ განსხვავებული სპეციფიკის პედაგოგიური გამოციდლებების გაცემა. ასევე განსხვავებული სამუშაო გარემოში მუშაობის შესაძლებლობა.<br>○ პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს როგორც მნიშვნელოვანი საბაზისო პედაგოგიური გამოციდლება, ასევე აუცილებელი უნარები თუ როგორ გამოიყენოს და აამოქმედოს პრაქტიკაში დარგობრივი ცოდნა.<br>○ მუსიკის პედაგოგის ძველი  მოსამზადებელი პროგრამის კურსდათავრებულებთან ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამა წარმატებით ავითარებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და ცოდნის პრაქტიკაში გაცოცხლების, სწავლა- სწავლების გამოცდიელბას.<br>○ ამჟამად არსებული ორი ს კოლიდან ერთი არის პრესტიჟული კერძო სკოლა, ხოლო მეორე სპეციალიზირებული მუსიკის მიმართულებით. პროექტებში ჩართულ სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, შეხება ჰქონდეთ სხვა სოციალურ ჯგუფებთან, თუმცა პრაქტიკის ფარგლებში ნაკლებად არის ამის შანსი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან;<br>○ ინტერვიუები სასწავლო საგნების სილაბუსების ავტორებთან და პედაგოგებთან;<br>○ მუსიკის მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა ; |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიცუსდ-მუნდაგაითვალისწინოსიმისათვისრომპროგრამამდააკმაყოფილოსსტანდარტისმოთხოვნები |
| **რჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულოხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიცარისგამორჩეულადეფექტურიდარომელიცშეიძლებაგახდესსამიზნენიშნულიანმაგალითისხვასაგანმანათლებლოპროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი, რომელიცპროგრამაშიგანხორციელდაწინააკრედიტაციისშემდეგ (ასეთისარსებობისშემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთპროგრამისსტანდარტისაღნიშნულკომპონენტთანშესაბამისობა<br><br>**☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშიამოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
